MES 4 23 0000190356

17/02/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 3 თებერვალს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
ნინო ელბაქიძე - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნინო გორგოშაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესუილი განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ლევან მადათოვი
- ეკატერინე გიგაშვილი
- ანა უგულავა
- ციური დურული
- თამარ ლომინაძე
- ნანა მონიავა
- ქეთევან ჯანელიძე
- ქეთევან ჭუჭულაშვილი
- ალექსანდრე კეკენაძე

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტი

- ნანა ქაშაკაშვილი - პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- თამარ დოლიძე - დაწესებულების წარმომადგენელი;
- დავით წასიძე - ხარისხის სამსახურის უფროსი;
- ნიკა გიგაური - ხარისხის მენეჯერი;
- ნესტან ინასარიძე - პროფესიული განათლების ხარისხის მენეჯერი;
- ეკა მოლაშხია - დაწესებულების წარმომადგენელი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

- სულხან სულხანიშვილი - კოლეჯის დირექტორი;

- მარიამ აბელიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**
1. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრმა ტოტე ბოლქვაძემ განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 2 ნოემბრის №1394939 ბრძანების საფუძველზე 2022 წლის 14–16 ნოემბერს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. აღნიშნულ ბრძანებაში საბჭოს წევრი ტიტე მოლქვაძე ექსპერტის სტატუსით იყო წარმოდგენილი. ამიტომ, როგორც საბჭოს წევრმა აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განხილვა/კენჭისყრაზე განაცხადა აცილება. ტიტე ბოლქვაძემ განაცხადა, რომ აცილების შესახებ საბჭოს სამდივნოს აცნობა დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან მადათოვმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე 2022 წლის 14 – 16 ნოემბერს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში ავტორიზაციის დებულება) 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“„გ“„დ“„ე“ ქვეპუნქტებისა და „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის შემუშავების პერიოდში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა პროფესიული სტუდენტის განცხადება/საჩივარი სადაც მითითებულია, რომ დაწესებულებაში სწავლის შედეგების დადასტურების პროცესში დაფიქსირდა დარღვევები. კერძოდ, პროფესიული სტუდენტის თქმით, "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების სწავლის შედეგების განმეორებით დადასტურებისთვის გამოყოფილი დრო არ იყო საკმარისი და გაცილებით ნაკლები იყო

მოდულებით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვაზე. განცხადებაში, პროფესიული სტუდენტი საუბრობს კონკრეტულ შემთხვევაზე. მისი თქმით, ორი მოდულის ("ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლი"; "ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება") განმეორებით დადასტურების დროს, სწავლის შედეგების დასადასტურებლად განსაზღვრული იყო მხოლოდ 4 საათი, მაშინ როდესაც მას გადასაბარებელი ჰქონდა მოდულების სწავლის შედეგების უმეტესი ნაწილი. პროფესიული სტუდენტი თვლის, რომ განსაზღვრული 4 საათი სწავლის შედეგების ხელმეორედ დასადასტურებლად არ იყო რელევანტური შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ სირთულესა და მოცულობასთან მიმართებით.
შედეგად, აღნიშნულმა პროფესიულმა სტუდენტმა ვერ შეძლო "ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლის" მოდულის დადასტურება. მან აღნიშნული მოდული უნდა გაიაროს ხელმეორედ, მომდევნო წელს. პროფესიული სტუდენტის თქმით, მისი მიზანი იყო სწავლის პროცესის დასრულება პროგრამის ხანგრძლივობის ვადაში (2 წელი), მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ, ის სწავლას დაასრულებს აღნიშნული მოდულის დადასტურების შემდეგ, 1 წლის დაგვიანებით. ცენტრის მიერ დაწესებულებიდან გამოთხოვილ იქნა დოკუმენტაცია.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ცენტრმა დაწესებულებიდან გამოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები და მიეწოდა ექსპერტთა ჯგუფს ზემოხსენებული საკითხების დამატებით შესწავლისა და დასკვნის პროექტში ასახვის მიზნით, აღნიშნა ლევან მადათოვმა. ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი მასალები. ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია ასახულია დასკვნის შესაბამისი სტანდარტის/კომპონენტის ნაწილში.
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 9 იანვრის No1647 წერილით ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით. ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გაითვალისწინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიცია და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად აისახა საბოლოო დასკვნაში.
ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის No91 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. დაწესებულება ახორციელებს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის, მეხუთე დონის პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“. თავდაპირველად პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 40 პროფესიული სტუდენტით, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის No140 გადაწყვეტილებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაიზარდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა და განისაზღვრა 96 სტუდენტით. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია „ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მიერ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში ნაწილობრივ დაცულია უსაფრთხოების ზომები.
ინსტიტუტმა წარმოადგინა 2019 წლის 14 და 15 მაისის სახელმწიფო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის No497 და No500 მიწერილობები სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე, რომლის შესრულების ბოლო ვადად მითითებულია 2019 წლის 30 ნოემბერი. მოთხოვნების ნაწილი შესასრულებელია, ამასთან წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 24 ნოემბრის No MIA 6 22 033171012

წერილი, რომლითაც განისაზღვრა რომ საკონტროლო სახანძრო-ტექნიკური შემოწმება უნდა ჩატარდეს არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა. ინსტიტუტმა წარმოადგინა რექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის No01-22/367 და No01-22/368 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელების გეგმა-გრაფიკი გასატარებელი ღონისძიების, განხორციელების ვადის და შესაბამისი რესურსის მითითებით. შესრულების ბოლო ვადად მითითებულია 2023 წლის 31 დეკემბერი. შესაბამისად 5.1.2.1 კომპონენტი ფასდება როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება". ინსტიტუტმა 2023 წლის 31 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყოს მოთხოვნების შესრულება.

სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნატალია კვაჭანტირაძე.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება:

- **ინდიკატორი 2.4.1.4** დაწესებულებას მიეცეს რეკომენდაცია განმეორებით დასადასტურებელ შეფასების ინსტრუმენტებზე მიეთითოს კონკრეტულად ამ შეფასების ინსტრუმენტის შესასრულებლად გამოყოფილი დრო.
- **ინდიკატორი 2.4.2.1** საჩივრის ავტორი პროფესიული სტუდენტის შემთხვევის გათვალისწინებით, ვინაიდან მისთვის შეფასების პროცესი არ იყო სანდო და ვალიდური, შეფასების ინსტრუმენტიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი ვერ ასკვნის რამდენად სწორად წარიმართა შეფასების პროცესი. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა შეფასების პროცესი მაქსიმალურად იყოს სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე.
- **ინდიკატორი 3.1.1.1** მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტაციის შეფასებისა და ინტერვიურების დროს არ გამოკვეთილა შენიშვნა სტუდენტის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, საჩივრიდან გამომდინარე, საჭიროა დაწესებულებამ უფრო მეტად იზრუნოს თითოეული სტუდენტის უფლებების დაცვაზე და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.
- **ინდიკატორი 5.2.2.1** სასურველია შემუშავდეს საქმეთა ერთიანი ნომენკლატურა შესაბამისი შენახვის ვადების მითითებით და დოკუმენტაცია დამუშავდეს არქივის წესების შესაბამისად. მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაცია (დიპლომები) განთავსდეს ცეცხლგამძლე კარადაში.
- **ინდიკატორი 5.2.2.3** ჯიპას არ აქვს ფორმალიზებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. განხორციელდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიურება და წლიური ანგარიშების შეჯამება, დაწესებულების მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა და უტყუარობა ანალიზის შესაბამისად დადგინდა რომ, ჯიპა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, თუმცა რეკომენდირებულია შემუშავდეს პროცესების ფორმალიზება და გაიწეროს შესაბამისი პროცედურები საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

ნანა ქაშაკაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პროფესიული რჩევებისთვის. მისი თქმით, ექსპერტთა დასკვნის პროექტის საფუძველზე ჯიპას გუნდმა არგუმენტირებული პოზიცია წარადგინა და გათვალისწინებულ იქნა ყველა რეკომენდაცია. ასევე, ნანა ქაშაკაშვილის წარდგინებით, დაწესებულების წარმომადგენელი და შრომის უსაფრთხოების ექსპერტი თამარ დოლიძე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში კოლეგებთან ერთად მუშაობდა პროგრამის განახლებაზე. ამჟამად აღნიშნულ შეხვედრებსა და სამუშაოებს ასრულებს უნარების სააგენტო. დაწესებულებამ გასულ

კვირას განახორციელა შეხვედრა საინჟინრო მიმართულებით სააგენტოში. შეხვედრისას ჯიპამ წარუდგინა სააგენტოს მათი განახლებული ხედვა, შეთავაზებები, რეკომენდაციები პროგრამის და ზოგადად განხორციელებული ცვლილებები. მათ დაყენეს ინიცირება, რომ აუცილებელია პროგრამის გადახედვა, განსაკუთრებით რეგულაციების ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, არსებობის შემთხვევაში, დაესვათ შეკითხვები.

ნინო ელბაქიძე მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებისთვის. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან დაკავშირებით, თუ რა იყო ძირითადი მიზეზი, რის გამოც სტუდენტები წყვეტდნენ სწავლას.

ნანა ქაშაკაშვილის განცხადებით, ძირითადად დასაქმებული კონტიგენტი მიდის სასწავლებლად, რომლებსაც, სამწუხაროდ, უჭირთ დასწრება და შეთავსება სამსახურთან. მისი თქმით, დაწესებულების რეგულაციით 33 % გაცდენის შემთხვევაში პირი მოდულს ვერ ადასტურებს.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ხომ არ ფიქრობდნენ მეტი მოქნილობისთვის პროგრამის გარკვეული ნაწილების დისტანციურად განხორციელებას, მაგალითად რეგულაციებისა და კანონმდებლობასთან დაკავშირებული მოდულების.

ნანა ქაშაკაშვილის განცხადებით, დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების ხარისხზე და ამ ეტაპზე ონლაინ სწავლებას არ ახორციელებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (ს/კ:204429341) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 3 თებერვალი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით 5.1 კომპონენტის გადამოწმების ფარგლებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვრა ანგარიშის წარდგენა. მონიტორინგის თარიღად საბჭომ განსაზღვრა 2024 წლის 1 მარტი.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

მესამე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ანა უგულავამ დასაწყისშივე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს „საოფისე საქმე“ და „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ პრეზენტაციას წარადგენდა თავად, დარგის ექსპერტებთან ერთად.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა მიმდინარე წლის 14 დეკემბერს განახორციელა ვიზიტი ქ. თბილისში შპს - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში (შემდგომში კოლეჯი) „საოფისე საქმე“ და „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით.

ვიზიტის დღეს, კოლეჯში მივლენილ იქნა ცენტრის ხუთი ექსპერტი, რომლებიც პარალელურ რეჟიმში იხილავდნენ სამი სხვადასხვა პროგრამის (საოფისე საქმე, ღონისძიებების ორგანიზება, პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი) დამატების საკითხს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საოფისე საქმე

ექსპერტის განცხადებით, „საოფისე საქმის“ პროგრამის დამატების თემატიკაზე მუშაობდა ორი ექსპერტი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ჩამოყალიბდა ვიზიტის ფარგლებში ადგილზე შესამოწმებელი დოკუმენტების ნუსხა, შედგა დღის განრიგი, რომელიც გადაეგზავნა კოლეჯს და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ განმახორციელებლებს და პროგრამის ხელმძღვანელსაც, რომელიც ამავდროულად გახლავთ დირექტორის მოადგილე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები. ექსპერტები გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე ექსპერტების მიერ შემოწმდა კოლეჯის მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი წიგნადი ფონდი, შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულება/მემორანდუმები.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტების მიერ მოხდა მიგნებების გაცნობა კოლეჯის წარმომადგენლებისთვის. ექსპერტთა შეფასებით ვიზიტი განხორციელდა კონსტრუქციულ გარემოში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი

ექსპერტის განცხადებით, „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროგრამის დამატების საკითხზე მუშაობდა ორი ექსპერტი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ჩამოყალიბდა ვიზიტის ფარგლებში ადგილზე შესამოწმებელი დოკუმენტების ნუსხა, შედგა დღის განრიგი, რომელიც გადაეგზავნა კოლეჯს და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი (იხ. ვიზიტის განრიგი, დანართი N1). ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ განმახორციელებლებსაც და პროგრამის ხელმძღვანელსაც. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები. ექსპერტები გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე ექსპერტების მიერ შემოწმდა კოლეჯის მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ელექტრონული წიგნადი ფონდი, შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულება/მემორანდუმები.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი გახლავთ საერთაშორისო ორგანიზაციის EfVET – the European Forum of Technical and Vocational Education and Training - წევრი. რაც კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას მაქსიმალურად აუწყოს ფეხი პროფესიული განათლების თანამედროვე მიდგომებს. ორგანიზაცია აერთიანებს პროფესიულ სასწავლებლებს

მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული თანამშრომლობა სასარგებლოა როგორც კოლეჯისათვის, ასევე კოლეჯის სტუდენტებისათვის. რომელთაც სხვებთან შედარებით მარტივად მიუწვდებათ ხელი პროფესიული განათლების თანამედროვე ტენდენციებზე.
საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯში დაფიქსირებული საუკეთესო გამოცდილება გაზიარებული იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სხვა დაწესებულებებშიც.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა
კოლეჯში, როგორც მიმდინარე, ასევე, გასულ წელსაც ბევრი ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა, მათ შორის ფართის ცვლილება, „ვებტექნოლოგიების“ პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა და ა.შ. ამასთან, „საოფისე საქმის“, „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ და „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე გასულ წელს ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას უარი ეთქვა პროგრამების დამატებაზე.
აღნიშნული წარმოების ფარგლებში გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია კოლეჯის მხრიდან.

განმავითარებელი რეკომენდაცია
ექსპერტთა მიერ დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის სხვადასხვა ინდიკატორის პროგრამების ფარგლებში გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ:

ზოგადი სახის რეკომენდაცია - დაწესებულებას მიეცა დოკუმენტების სამართლებრივი თვალსაზრისით გამართვისა და უკეთესი აღრიცხვიანობის მიზნით მათი გადახედვის რეკომენდაცია. კერძოდ, უმჯობესი იქნება კოლეჯმა მოახდინოს რამდენიმე დოკუმენტის გადახედვა და მათი გასწორება სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით. ამასთან, უმჯობესი იქნება რამდენიმე თემატური დოკუმენტის გაერთიანება ერთი დოკუმენტის ქვეშ, მაგალითისათვის შესაძლებელია „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“ იყოს „პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესის“ შემადგენელი ნაწილი. დოკუმენტების აღნიშნული თვალსაზრისით მოწესრიგება გაამარტივებს და დაზოგავს როგორც ექსპერტების, ასევე კოლეჯის პერსონალისა და სტუდენტების დროის რესურსს.

- **2.2.1.5.** დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მან თავისივე განაცხადთან მოიყვანოს შესაბამისობაში პროგრამის საბიბლიოთეკო რესურსის მდგომარეობა და უზრუნველყოს არა მხოლოდ ელექტრონულად, არამედ სახელმძღვანელოების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებობაც.
- **2.3.1.1.** დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ახალი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ წარმოებულ იქნას დაინტერესებული პირების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ პროცესის ამსახველი მატერიალური თუ ელექტრონული მასალების წარმოება და მათი წარმოებისათვის საჭირო პროცედურული წესების შემუშავება.
- **2.4.2.2** სასურველია ვერიფიკაციის მექანიზმი დეტალურად არეგულირებდეს ვერიფიკაციის ისეთ ძირითადი ეტაპებს, როგორებიცაა: ვერიფიკაციის გეგმის შედგენა, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა, განხილვის ორგანიზება, ფაქტობრივ გარემოებებზე შეთანხმება და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა. ამასთან, ვინაიდან კოლეჯს ყავს ახალი ხარისხის მართვის მენეჯერი, კარგი იქნება ისი მხრიდან მოხდეს ვერიფიკაციის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების დეტალური შესწავლა, გაანალიზება და განახლება მათი შემდგომი განვითარების მიზნებისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ღონისძიების ორგანიზება“
საუბარი განაგრძო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნანა მონიავამ და დარგის ექსპერტმა. მათი განცხადებით, ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის დირექტორს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, კონკრეტული მიმართულებებზე პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის განმახორციელებლებს (რამდენიმესთან მოხდა ონლაინ ჩართვა) და პროგრამის ხელმძღვანელს. განხილული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები, კოლეჯის მატერიალური ბაზა, პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები, პროგრამის მატერიალური რესურსი, პროგრამით გათვალისწინებული წიგნადი ფონდი. ექსპერტების მიერ დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდა ინფორმაცია მიგნებების შესახებ. ვიზიტი მიმდინარეობდა კეთილგანწყობილ და კონსტრუქციულ გარემოში.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
სასურველია დაწესებულებამ დააკორექტიროს მარეგულირებელი დოკუმენტები, გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები, დაწესებულების რეგულაციები და არსებული პრაქტიკა მოიყვანოს სინქრონიზაციაში ერთმანეთთან (მაგალითად: გასწორდეს ჩანაწერი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში“ (მუხლი 2. პუნქტი 9. 20 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი); კოლეჯის ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად აწარმოოს ბიბლიოთეკის კატალოგი და სხვა ბიბლიოთეკის დოკუმენტაცია, გადაიხედოს ვერიფიკაციის დოკუმენტი და სხვა).
ექსპერტთა განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან („საოფისე საქმე“, „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“, „ღონისძიების ორგანიზება“) მიმართებით, დაწესებულებაში პროგრამები შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფილია პროგრამების განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, პროგრამების განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევასა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამების სწავლის შედეგების დადასტურებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
სულხან სულხანიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის "საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ

დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს (ს/კ:405318570) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1).** გა დაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 3 თებერვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს (ს/კ:405318570) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 3 თებერვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს (ს/კ:405318570) მიენიჭოს უფლება

დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 3 თებერვალი.

მეხუთე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

მეექვსე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

მეშვიდე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ჭუჭულაშვილმა დასაწყისშივე აღნიშნა, ხარვეზი ან რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა და „ვებტექნოლოგიების“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“, „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ პრეზენტაციას წარადგენდა თავად, დარგის ექსპერტთან ერთად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვებტექნოლოგიები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვებტექნოლოგიები ხორციელდება 2019 წლიდან. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საჭიროება განპირობებულია პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა ძალიან მაღალი მომართვიანობით გასულ წელს 30 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 258 აპლიკანტი. ამასთან, დაწესებულებას აქვს საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსი იმისათვის, რომ შეძლოს 60 პროფესიული სტუდენტის მიღება და სწავლება.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული, თეორიული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ აუდიტორიაში (A გარემო), რომელიც აღჭურვილია შესაბამისად (პროფესიული სტუდენტის მერხი, სკამი, პროფესიული მასწავლებლის მაგიდა, სკამი, დაფა, კომპიუტერი, პროექტორი);

დაწესებულებას აქვს აუდიტორია (B გარემო) რომელიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შპს გრინ სისტემთან, შპს ლემონდუ ბიზნესთან, შპს პისი ქორნერთან, შპს სოფთლაინთან, შპს „ჯითი ჯგუფთან“, რომელთა შესაბამისადაც კომპანიებთან ურთიერთთანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტთა სტაჟირება და მათთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

პროგრამას ახორციელებს 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 5 დარგობრივი კომპეტენციის მქონე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები ხორციელდება 2019 წლიდან. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საჭიროება განპირობებულია პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა ძალიან მაღალი მომართვიანობით გასულ წელს 10 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 70 აპლიკანტი. ამასთან, დაწესებულებას აქვს საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსი იმისათვის რომ შეძლოს 60 პროფესიული სტუდენტის მიღება და სწავლება.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული, თეორიული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ აუდიტორიაში (A გარემო), რომელიც აღჭურვილია შესაბამისად (პროფესიული სტუდენტის მერხი, სკამი, პროფესიული მასწავლებლის მაგიდა, სკამი, დაფა, კომპიუტერი, პროექტორი). დაწესებულებას აქვს აუდიტორია (B გარემო) რომელიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). აქვე განლაგებულია დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული ყველა აღჭურვილობა (Cisco-ს კომუტატორები/მარშუტიზატორები, ქსელის ინსტრუმენტები და სხვა.) ექსპერტებმა შეისწავლეს მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ადგილზე დაათვალიერეს მატერიალური რესურსი. საწარმოო პრაქტიკის მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შპს გრინ სისტემთან, შპს მბს-სთან, შპს პისი ქორნერთან, შპს „ჯითი ჯგუფთან“, რომელთა შესაბამისადაც კომპანიებთან ურთიერთთანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტთა სტაჟირება და მათთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროგრამას ახორციელებს 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 7 დარგობრივი კომპეტენციის მქონე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება“ ხორციელდება 2019 წლიდან. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საჭიროება განპირობებულია პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა ძალიან მაღალი მომართვიანობით გასულ წელს 10 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 113 აპლიკანტი. ამასთან, დაწესებულებას აქვს საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსი იმისათვის რომ შეძლოს 60 პროფესიული სტუდენტის მიღება და სწავლება.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული, თეორიული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ აუდიტორიაში (A გარემო), რომელიც აღჭურვილია შესაბამისად (პროფესიული სტუდენტის მერხი, სკამი, პროფესიული მასწავლებლის მაგიდა, სკამი, დაფა, კომპიუტერი, პროექტორი). დაწესებულებას აქვს აუდიტორია (B გარემო) რომელიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). აქვე განლაგებულია დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული ყველა აღჭურვილობა (Cisco-ს კომუტატორები/მარშუტიზატორები, ქსელის ინსტრუმენტები და სხვა.)

ექსპერტებმა შეისწავლეს მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ადგილზე დაათვალიერეს მატერიალური რესურსი. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შპს გრინ სისტემთან, შპს მბს-სთან, შპს პისი ქორნერთან, შპს აიტიკრაფტთან, შპს „ჯითი ჯგუფთან“, რომელთა მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამას ახორციელებს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 7 დარგობრივი კომპეტენციის მქონე.

საკუთარი მოსაზრებები, საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, დააფიქსირეს ასევე დარგის ექსპერტებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

სულხან სულხანიშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის. მისი განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია ექსპერტთა მხრიდან გაცემული რჩევების გათვალისწინება შემდგომში განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები.

ნინო ელბაქიძის განცხადებით, სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ექსპერტებმაც დაადასტურეს, რომ მომართვიანობა ძალიან მაღალი იყო, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი არგუმენტია ის, რომ ამ შემოსული სტუდენტებისგან რამდენი წყვეტს სწავლას და რამდენი საქმდება. თუ ეს მაჩვენებელი მინიმუმამდეა დაყვანილი, იგულისხმა სწავლის შეწყვეტა და მაქსიმუმამდეა გაზრდილი დასაქმება, ამ შემთხვევაში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა მისასალმებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს(ს/კ:405318570) დანართით განსაზღვრულ „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 60-ით **(დანართი 4).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 3 თებერვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტისპროფესიულ კოლეჯს(ს/კ:405318570) დანართით განსაზღვრულ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 60-ით **(დანართი 5).** გადაწყვ ეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 3 თებერვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს (ს/კ:405318570) დანართით განსაზღვრულ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 60-ით **(დანართი 6).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 3 თებერვალი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 16:35 საათზე ავტორიზაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	საოფისე საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0415
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	89

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0613
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	125

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	ღონისძიების ორგანიზება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	91

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	63
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	125